

საბჭოთავო სსრ ჯანმრთელობის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის და პროლეტარული კულტურის საბჭოს ორგანო

15 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1988 წ. № 179 (9846) ფასი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიკა

იპოდრომის

საცხენოსნო სპორტის მოყვარულნი ძალიან გაახარა იმ ცნობამ, რომ იპოდრომის მოხაზობად ნაკარმაგვის (გორის რაიონი) ტერიტორიაზე 40 ჰექტარი გამოიყო. მშენებლობის დასაწყისი იმედის მომცემია. უკვე გაუვანლია სამშენებლო პოლინგონთან მისადგომი გზა. გაიჭრა საძირკველი. ჩადაბლებულ ადგილებს ავსებენ მიწით. მშენებლობას, რომლისთვისაც მილიონ მანეთამდე გამოიყოფა, გაუძღვება გორის რაიონის კომუნალური გაერთიანება (დირექტორი რაინ მინაშვილი). წელს გათვალისწინებულია ათევისონ 250 ათასი მანეთი.

იპოდრომის მთელი კომპლექსი ამუშავდება 1990 წლის სპორტულ სეზონში. ილია თევადაშვილი, „ლელოს“ საკ. კორ.

საჭადრაკო

ფსიქოლოგია

სოფი გრძელდება ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი „როსია“. ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ ქალთა XXIII საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ თბილისელ საერთაშორისო ოსტატს თამარ ხუგაშვილს ჯერჯერობით 2,5 ქულა და 4 გადადებულ პარტია აქვს. შეგებრებას კი 6-6 ქულით სათავეში უდგანან ირინა კულიში (ქრასნოიარსკი) და ტატია სტეპოვაია (ქრასნოდარი). შემდეგ მოდის ტატია შუმიკინა (ჩელიაბინსკი) — 5 (1), ტატია რუბცოვა (ლენინგრადის ოლქი) და ირინა ლევიტინა (ლენინგრადი) — 4,5-4,5 (1-1).


ჩემპიონატი

თასის მოიპოვების

თითქმის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოიყარა თავი ქრასნოიარსკში, სადაც საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდა სპორტულ აკრობატიკაში. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გლადიმერ გურგენიძის აღსაზრდელებმა, საბჭოთა კავშირის წლევიანდელმა ჩემპიონებმა ნატალია ანისიმოვა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი), ინგა გიორგობიანი (თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის

ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი) და სვეტლანა მაკარიჩევა (თბილისის 128-ე სკოლის მეათე კლასის მოსწავლე) გოგონებმა. შეგებრება უნაკლოდ ჩატარეს და დასახურებულად დაეუფლნენ საბჭოთა კავშირის თასს. შეგებრების შესახებ უფრო დეტალურებით „ლელოს“ უახლოეს ნომერში გაიგებთ.

სურათზე: ნატალია ანისიმოვა (მარცხნიდან), სვეტლანა მაკარიჩევა და ინგა გიორგობიანი.



საულის ოლიმპიადა ზებ გაიხსნება

158-მა ქვეყანამ ოფიციალურად დადასტურა სეულის ოლიმპიადის მონაწილეობის სურვილი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მონაცემებით სეულში 9.856 სპორტსმენი და 4.169 ოფიციალური პირი ჩავა. ექვსმა ქვეყანამ (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ეთიოპია, ნიგარაგუა, სეიშელის კუნძულები და ალბანეთი) უკვე საბოლოო უარი თქვა ოლიმპიადის მონაწილეობაზე.

საულის ოლიმპიადის მისი ჩავიდა შეეცადა მეფე კარლ XVI გუსტავი. აქ იგი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის მუშაობაში და 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქების არჩევნებში მხარს მშობლიურ ესტრესუნდს დაუჭერს. მეფემ უნდა დაარწმუნოს სოკის ხელმძღვანელობა, რომ ამ ქალაქის კანდიდატურას მხარს უჭერს მთელი შვეიცარია.

უპოვებელი ამერიკელი მოცურავის მეტ ბიონდის აზრით, აშშ-ს მოცურავეები ბევრი ვერაფრით გამოიჩინებ თავს სეულში. მას მიანიჭია, რომ ამ ქვეყნის სპორტის მესვეურები ცურვას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ძირითადად სპორტსმენთა ბუნებრივ მონაცემებს ეყრდნობიან, მაგრამ თანამედროვე სპორტში მხოლოდ ნიჭიერებით ფონს გასვლა ძნელია — აყვების ბიონდი.

გაიხსნება ფეხბურთის კვირეული

19-25 სექტემბერს საბჭოთა კავშირში სახელმწიფო აღინიშნება ფეხბურთის კვირეული. ჩვენი რესპუბლიკის კვირეული იქნება 19-25 სექტემბერი.



ბლიკ ამ დღისთვის. ფეხბურთის კვირეული იქნება 19-25 სექტემბერი, რომლის ორგანიზაცია დაფინანსებულია აქვს ქალაქის სპორტკომიტეტს. ფეხბურთის კვირეულის ჩატარების დღეებში ქ. თბილისში ნაჯარაუდგია ჩატარდეს ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, მიძღვნილი ამ სახეობის მასობრივ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებისადმი.

ფეხბურთის კვირეულისათვის გამოიკა პლაკატები საფეხბურთო თემაზე, სამხსოვრო ვიდეოები და ამკერდე ნიშნები. სურათზე: ფეხბურთის „კვირეული“ მიძღვნილი პლაკატი.

მთაში დუმილი ირღვევა

მიქაძის შოთა რუსთაველის საზოგადოების დაარსებას

1987 წელი. უკვდავი შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღს შეიმთხვევს ხალხი. ამ თარიღის აღსანიშნავად ქართველ მთამსვლელებს გადამწყვეტით კავასიონზე, ჯანსა და შხარას მასივებს შორის აღმართულ უსახელო მწვერვალზე (4960 მ.) ასვლა და მისთვის შოთა რუსთაველის სახელის დარქმევა.

თბილისელი მთამსვლელები სანდრო გავლია და გლადიმერ ალექსი-მესხიშვილი ჩანლასა და შხარას მისადგომებს მიადგნენ. აქ მათ ცნობილი ალპინისტები გოჯი ზურბანი და რამინ კვიციანიც შეუერთდნენ. ალპინისტებმა თავიანთი საოცნებო მწვერვლის დასაზვერად სამხრეთ შხარას შეუტრეს და მწვერვალზეც ავიდნენ. დიდხანს აკვირდებოდნენ უსახელო მწვერვალს.

შემოდგომა იდგა. მთაში ზამთარს დაესადგურებინა. მწვერვალზე ბარაქიანად იყო დათოვლილი და ახალი თოვლისგან ითავისუფლებდა თავს. ზეაგს ზეაგი ცვილიდა.

მთამსვლელებმა კარგად შეისწავლეს უსახელო მწვერვლის „ზენი და ხასიათი“, მერე კი ასვლაც დაიწყეს.

ამ მწვერვალზე ზაფხულშიც ძნელია ასვლა, მაშინ კი შემოდგომა იდგა და კვლავ ბარაქიანად ბარდნიდა. მერე ქარბუქიც ამოვარდა. განმეორებულმა სტიქიამ მთამსვლელები კლდის შუა წილზე შეაფერხა. ალპინისტებს კარავი კედლის ერთი ცილა თაროზე ჰქონდათ მოწყობილი. გამოდარებას პირი არ უჩანდა და უკან დაბრუნდნენ.

რამდენიმე დღის მერე გავლია და კვიციანი ბედის საცდელად კვლავ თოვში ჩაებნენ და მიზანსაც მიაღწიეს. პირველამსვლელთა უფლებით უსახელო მწვერვალს შოთა რუსთაველის სახელი უწოდეს. ასე გაჩნდა რუკაზე დიდი შოთას სახელი...

ამ ზაფხულს შოთა რუსთაველის მწვერვალზე მთამსვლელთა ბანაკი „ზენოს“ ინსტრუქტორებმა ჯემალ ქელესაშვილმა, გლადიმერ ქურასბედიანმა, მერაბ ნემსიწვერიძემ, გიორგი კოტეგიამ და იური ოსაიოვამ სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან აღმართულ კედელს დაადგეს თვალი და გადაწყვიტეს პროფესიონალი სპორტსაზოგადოების პირველ საკავშირო ჩემპიონატში, ტექნიკის კლასში, ბედი ეცადათ და ეს ასვლა რუსთაველის საზოგადოების დაარსებისთვის მიეძღვნათ.

მთამსვლელებმა კიხანს მიაღწიეს.

— კედლის სიმაღლე 1600 მეტრამდე აღმოჩნდა, — გაიბობნენ ქელესაშვილი. — მარშრუტი სამ დღეში გავიარეთ, ხოლო მეოთხედღე დაშვებას მოვანდომეთ. რომ ეს სახეობა როდესმე მაინც გახდება ოლიმპიური, საფუძველს სულაც არ არის მოკლებული. კამათი სპორტის ამ სახეობის წარმოშობის გარემო კვლავაც გრძელდება.

კავასიონის საკავშირო სპორტსაზოგადოების ჩემპიონატის შედეგები შეჯამდება, საუკეთესო ხუთ ასვლას საკავშირო ჩემპიონატზე წარადგენენ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ასვლაც ამ სიაში მოხვდება. ეფიქრობ, საკავშირო ჩემპიონატის პრიზორთა შორის თუ არა. ხუთეულში მაინც მოგვხვდება. ჩვენი შეფასებით, მარშრუტი უმადლესი, მე-6 კატეგორიის სირთულისა.

რუსთაველის პიკზე ამსვლელთაგან, რომლებსაც ქურასბედიანი ხელმძღვანელობდა, კოტეგი და ოსიპოვი ლენინგრადელები არიან. დანარჩენები — ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. მათგან ყველაზე გამოცდილი სპორტის ოსტატი ქელესაშვილია, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატებში მრავალმედალი აქვს მოპოვებული. იგი, ამავე დროს, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან და პრიზორ ჯოჯია გუგავსთან ერთად გუნდის მწვერთნელთაა. გუნდის დანარჩენი წევრები სპორტის ოსტატობის, კანდიდატები არიან და ყველანი წარმატებაზე ოცნებობენ.

ვენახოთ, აუსრულდებათ თუ არა ოცნება, ლოდინი კი დიდხანს არ მოუწევთ — საკავშირო ჩემპიონატის შედეგები ტექნიკურ კლასში ოქტომბერში შეჯამდება.


პეტრეიძე გუგავსი.

შევიყვაროთ წყლის თხილამურები?

არაფერ იცის, როგორ გაჩნდა წყალსათხილამურო სპორტი. თავიდან იგი ვითარდებოდა როგორც ატრაქციონის ნაირსახეობა. 1929 წელს ამერიკელმა დიკ პომმა შეიარაღა პირველი ნახტომი წყალსათხილამურო ტრამპლინიდან. 30-იან წლებში აშშ-ის წარმომადგენელი ანდრესენი წყალზე თხილამურებით ასრულებდა პირველ ფიგურებს (ტროუკებს). 1946 წელს შვეიცარიაში შეიქმნა მსოფლიო წყალსათხილამურო კავშირი, რომელმაც 1949 წელს საფრანგეთში მოაწყო პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. 1953 წლიდან მოყოლებული, კენტ წლებში ეს ჩემპიონატები რეგულარულად ტარდება, ვეროპის ჩემპიონატები კი ყოველწლიურად ეწყობა. ჩვენს ქვეყანაში წყალსათხილამუ-

რეთა პირველი კოლექტივები 50-იანი წლების დასაწყისში ყალიბდება რიგაში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში. 1964 წელს შეიქმნა წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაცია. 1965 წლიდან ეწყობა სსრ კავშირის ჩემპიონატები სპორტის ამ სახეობაში, ხოლო 1973 წლიდან — ქვეყნის პირველობები მოზარდთა შორის.

1967 წელს თეირანში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა წყალსათხილამურო სპორტი ოლიმპიურ სახეობად აღიარა და XX თამაშებზე ფიგურ-ში წყალსათხილამურებმა პირველად გამოარტეს ასპარეზობა ოლიმპიადის მემორიალური სამახსოვრო მედლებისთვის. ნამდვილი ოლიმპიური მედლები წყალსათხილამურო სპორტში გერაც არავის მიუღია. მაგრამ იმედი იმისა,



რომ ეს სახეობა როდესმე მაინც გახდება ოლიმპიური, საფუძველს სულაც არ არის მოკლებული. კამათი სპორტის ამ სახეობის წარმოშობის გარემო კვლავაც გრძელდება. ერთი ვერსიის თანახმად, პირველად ალპურმა მსოფლიოებმა სცადეს „თოვლის“ თხილამურების ნაირსახეობა მოტორიანი ნავის მიმყოფი ადამიანის წყალზე ბუქსირებისათვის გამოყენებინათ. არაუბობს სხვა, ძალზე სიმპათიური ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ დაამზადა ამერიკელმა რ. სამუელსონმა 1922 წელს და კიდევაც გამოსცადა ლეიტენანტი, პიკინის აბაზე. წყლის თხილამურ...

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის

დაცვისათვის (მზად)“

I. საერთო დავალება

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის (მზად)“ არის მოსწავლე, სტუდენტი და მშრომელი ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების ნორმატიული მოთხოვნების საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს შრომისა და საშობლოს დაცვისათვის ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების დონას.

ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციასთან ერთად მზდ კომპლექსი ფუნქციონირებს როგორც ასრულებს მოზარდი თაობის ფიზიკური მომზადების შეფასების ნორმატიულ სისტემაში.

ახალგაზრდობის მომზადება მზდ კომპლექსის ნორმატივების მოთხოვნების შესრულებისა და ჩაბარებისთვის უზრუნველყოფილია სისტემატური მეცადინეობით ფიზიკური აღზრდის პროგრამების მიხედვით სასწავლო დაწესებულებებში, დაწყებითი სამხედრო მომზადების პუნქტებში, სპორტულ სექციებში, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში და დამოუკიდებლად.

მზდ კომპლექსის დადგენილი სახეობების მოთხოვნებისა და ნორმატივების ჩაბარება მოსწავლე, სტუდენტი და მშრომელი წვედამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობისთვის ითვლება სავალდებულოდ.

საშუალო და უფროსი ასაკის პირები მზდ კომპლექსის მრავალპირობის სათანადო ნორმატივების მომზადებასა და შესრულებაში მონაწილეობენ ნებაყოფლობით. მათი მომზადება უზრუნველყოფილია სპორტულ სექციებში, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში მეცადინეობით, ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში, მზდ კომპლექსის მრავალპირობის შეჯიბრებისა და ქვეყნის პირველობაში მონაწილეობით.

II. მზდ კომპლექსის სტრუქტურა

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის (მზად)“ შედგება:

ა) იმზდ I საფეხური — სკოლის 1-3 (4) კლასების მოსწავლეთათვის;

ბ) იმზდ II საფეხური — სკოლის 4 (5) — 8 (9) კლასების მოსწავლეთათვის;

მზდ I საფეხური — სკოლის 9-10 (11) კლასების, პროფტექ-სასწავლებლების, სპეციალური საშუალო სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის, 18 წლამდე ასაკის მშრომელი ახალგაზრდობისთვის;

მზდ II საფეხური — სტუდენტებისა და 18-27 წლის ასაკის მშრომელი ახალგაზრდობისთვის;

ბ) მზდ კომპლექსის მრავალპირობა — 10-60 წლის მოსწავლეთა, სტუდენტთა და მშრომელთათვის.

შენიშვნა: ფრჩხილებში აღნიშნულია იმ სკოლების კლასები, რომლებიც მუშაობენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

III. გამოცდის სახეები, ნორმატივები, მოთხოვნები

მზდ კომპლექსის საფეხურები შედგება ნორმატივებისგან, რომლებიც განსაზღვრავენ ძირითად ფიზიკურ მონაცემებს (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა) და მოთხოვნებისგან, რომლებიც განსაზღვრავს ძირითადი გამოყენებითი ჩვევების (ცურვა, თხილამურება) რბენა, სროლა ტყორცნა და ა. შ.) ათვისების დონას.

იმზდ I საფეხური

(1-8 (4) კლასების მოსწავლეთათვის)

ნიმუშა ტესტები	
ნიმუში	გოგონები
1. 100 მეტრზე (მზ)	17,9
2. 2000 მეტრზე (მზ, მზ)	11,50
3. მიზიდვა (რაიდენობა): მაღალ ღერძზე დაბალ ღერძზე (სიმაღლე 110 სმ) ან ზურგზე წოდელ მდგომარეობიდან განისწავლეთ (რაიდენობა 1 წმ-ში) ან იატაკზე წოდვით მკლავების მიზნად და გამართვა (რაიდენობა)	14, 11, 18, 12, 40, 30, 16, 12



მოთხოვნები:

- 32-თვიანი ტანვარჯიშული თავისუფალი ვარჯიშების კომპლექსის შესრულება არანაკლებ „ფრიადი“ შეფასებით (გოგონები);
- 700-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა 32 მეტრზე (ჭაბუკები);
- ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში (დისტანცია 25 მ. 5 გასროლა) შესრულებს შედეგით: ტოზ-8 ტიპის შაშხანა — 30 ქულა; ტოზ-12 — 33 ქულა ან პნემატური შაშხანა (დისტანცია 5 მ. 5 გასროლა) შედეგით — 4 მოხვედრა შავ წრეში;
- ცურვა 50 მეტრზე: ჭაბუკები — 50, გოგონები — 70 წამი;
- თხილამურებით რბენა: ჭაბუკები — 5 კმ 27 წუთში, გოგონები — 3 კმ-ზე 19 წუთში (მხოლოდ თოვლიანი რაიონებისთვის).

შენიშვნა: ჭაბუკები სროლაში ვარჯიშს ასრულებენ მხოლოდ მცირეკალიბრიანი შაშხანით, გოგონები — მცირეკალიბრიანი ან პნემატური შაშხანით.

მზდ II საფეხური

(სტუდენტებისა და 18-27 წლის ასაკის ახალგაზრდობისთვის)

გამოცდის სახეობა	ნიმუშა ტესტები			
	მათაკები	ქალები	ოქროს ნიშანი	ვერცხლის ნიშანი
1. რბენა 100 მეტრზე (მზ)	13,2	14,3	15,7	17,9
2. რბენა 2000 მეტრზე (მზ, მზ) 3000 მეტრზე (მზ, მზ)	12:00	13:30	15:15	17:50
3. მიზიდვა (რაიდენობა): მაღალ ღერძზე დაბალ ღერძზე (სიმაღლე 110 სმ) ან ზურგზე წოდელ მდგომარეობიდან განისწავლეთ (რაიდენობა 1 წმ-ში) ან იატაკზე წოდვით მკლავების მიზნად და გამართვა (რაიდენობა)	14	11	18	12
ან იატაკზე წოდვით მკლავების მიზნად და გამართვა (რაიდენობა)	-	-	40	30
ან იატაკზე წოდვით მკლავების მიზნად და გამართვა (რაიდენობა)	-	-	16	12

მოთხოვნები:

- 32-თვიანი ტანვარჯიშული თავისუფალი ვარჯიშების კომპლექსის შესრულება არანაკლებ „ფრიადი“ შეფასებით (ქალებისთვის);
- 700-გრამიანი ხელყუმბარის ტყორცნა 35 მეტრზე (მათაკებისთვის);

შენიშვნები: 1. საოლქო მასშტაბიდან დაწყებული და ზევით შეჯიბრებები ტარდება:

- 16-39 წლის ასაკში (მათაკებში — 49 წლამდე) — ზაფხულის მრავალპირობის ხუთდღის პროგრამით;
- სროლაში — წოლეა (ხელიდან), იარაღის ღვედის გამოყენებით;
- თხილამურებით რბენაში: 16-39 წლის მამაკაცებისთვის — 10 კილომეტრზე, 16-39 წლის ქალებისთვის — 5 კილომეტრზე; 40 წლისა და უფროსი ასაკის ქალებისთვის — 3 კილომეტრზე;

2. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სპორტსახემებს, სამხარეო და საოლქო სპორტკომიტეტებს უფლება აქვთ მრავალპირობის ვარჯიშის ერთი სახე შეცვალონ სხვა ვარჯიშით (სახით) ერთნაირი თავისებურების, ტრადიციების, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და შეიმუშაონ ამ სახეებისთვის შედეგების აღფრთხილებითი შეფასება.

V. მზადება მზდ კომპლექსის

მოთხოვნებისა და ნორმატივების ჩასაბარებლად

მოსწავლეთა და სტუდენტთათვის მზდ კომპლექსისა და მრავალპირობის მოთხოვნებისა და ნორმატივების შესასრულებლად მზადება ხორციელდება სასწავლო დაწესებულებებში მეცადინეობის პერიოდში და მეცადინეობისგარეშე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის პროცესში; მშრომელი ახალგაზრდობისთვის — სპორტულ სექციებში, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში, დაწყებითი სამხედრო მომზადების პუნქტებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე დამოუკიდებლად.

VI. მზდ კომპლექსის გამოცდების,

მზდ კომპლექსის მრავალპირობის შეჯიბრებების ჩატარების პირობები და წესები

შეჯიბრებები მზდ კომპლექსის საგამოცდო სახეებში ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 3 (4), 8 (9), 10 (11) კლასებში, პროფტექნიკური, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ბოლოსწინა კურსებზე, ფიზიკური მომზადების კურსის 80-საათიანი პროგრამის ასათვისებლად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დაწყებითი სამხედრო მომზადების პუნქტებში.

მოთხოვნათა შესრულება ხდება სასწავლო წლის განმავლობაში. სისწრაფის, ძალისა და გამძლეობის სახეობებში საგამოცდო შეჯიბრებები მზდ კომპლექსის ყველა საფეხურისთვის ტარდება სასწავლო წლის ბოლოს ერთი დღის განმავლობაში.

მზდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად დაიშვებიან ის პირები, რომლებიც სისტემატურად ეწყობიან მეცადინეობებს, ფიზიკურ კულტურაში აქვთ დაღვიბითი შეფასება და წინასწარ ჩაბარებენ კომპლექსის შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებს. მოთხოვნების ჩაბარება ნებადართულია სპორტის სახეობების მიხედვით სექციებში, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში, პიონერულ, სპორტულ-თავდაცვით, გამაჯანსაღებელ ბანაკებში, წვევამდელთა საველე-სასწავლო შეკრებების ჩატარებისას, პროფტექნიკის სასწავლო დაწესებულებების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში.

მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის, წვევამდელთა და გასაწვევების მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებმაც სპორტული მიზნების გამო დადგინდეს დროში ვერ მიიღეს მონაწილეობა მზდ კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების ჩასაბარებლად გამართულ შეჯიბრებებში, ეძლევათ დამატებითი ჩაბარების უფლება ჩამატარებელი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით.

მზდ კომპლექსის მრავალპირობის სათანადო მოთხოვნები სრულდება სასწავლებლების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების, რაიონების, ქალაქების, ოლქების, სამხარეო და საოლქო

მზდ კომპლექსის მრავალპირობის თანრიგები ენიჭებათ ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციით დადგენილი წესით. აღნიშნული საბუთები მზდ კომპლექსისა და მრავალპირობის მუშაობის აღრიცხვიანობის დოკუმენტებს წარმოადგენს.

დანართი № 1

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის (მზად)“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დავალებების

შესრულების პირობები

მოთხოვნებისა და გამოცდების სახეები

1. რბენა 60 და 100 მეტრზე ტარდება სტადიონის სარბენ ბილიკებზე ან ნებისმიერსაფარიან სწორ მოედანზე. სასტარტო მდგომარეობა — ნებისმიერი.

2. რბენა 1000, 2000, 3000 მეტრზე ტარდება სტადიონის სარბენ ბილიკებზე ან ნებისმიერ სწორ ადგილზე.

3. მაღალ ღერძზე მიზიდვა სრულდება შემდეგი საწყისი მდგომარეობიდან — დატაცით კიდეში, ფეხების იატაკზე (მიწაზე) შეუხებლად. ვარჯიში ითვლება შესრულებულად, როდესაც ნიკაპი ღერძს ზევით მოქცევა. კიდეში 3 წამზე მეტხანს დაყოვნება და მიზიდვის ქანებით დაწყება ნებადართული არ არის.

დაბალ ღერძზე მიზიდვა სრულდება შემდეგი საწყისი მდგომარეობიდან — წოლით დატაცში სხიბით ზევით. თავი, ტანი, ფეხები ქმნის ერთ სწორ ხაზს (ქუსლების დაბჯენა შეიძლება 4 სანტიმეტრამდე სიმაღლის შემადგენელად), მკლავები იატაკის (მიწის) პერპენდიკულარულია. ვარჯიში ითვლება შესრულებულად, როცა ნიკაპი გადაკვეთს ღერძის სიმაღლეს. არ შეიძლება მოხრა და გამართვა ზედაწილის, მკერდისა და წელის ნაწილებში, მენჯ-ბარძაყის, მუხლის სახსრებში და კიდეში 3 წამზე მეტხანს დაყოვნება.

მკლავების მოხრა და გამართვა სრულდება შემდეგი საწყისი მდგომარეობიდან — იატაკზე წოლბჯენში, გამართული მკლავები — მხრების სიმაღლეზე, ხელის თითები — წინ, ტანი და ფეხები წარმოქმნის ერთ სწორ ხაზს. მკლავების მოხრის დროს მკერდი ეხება საყრდენს. არ შეიძლება: ბარძაყებით საყრდენზე შეხება, გამართული ტანისა და ფეხების მდგომარეობის შეცვლა, საწყისი მდგომარეობაში 3 წამზე მეტხანს შეყოვნება და მკლავების მონაცვლეობით გამართვა.

ტანის წამოწევა სრულდება გულდმა წოლეა, მუხლები მოხრილია 90-გრადუსიანი კუთხით, მკლავები იდაყვებით ეხებინება მკერდს, ხელები თითებით ეხება მხრებს, ტერფებს იჭერს თანამოვარჯიშე.

4. ცურვა ტარდება აუზებში ან სპეციალურად მოწყობილ წყალსაცავებში. სტარტის აღება შეიძლება როგორც აუზის კიდიდან, ისე წყლიდან. ცურვის ხერხი ნებისმიერია.

5. სროლა წარმოებს ტოზ-8 ან ტოზ-12 ტიპის მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლეა დაყრდნობით ან ღვედის გამოყენებით № 6 სამიწაზე 25 მეტრიდან, № 7 სამიწაზე — 50 მეტრიდან. იყ-38 ტიპის პნემატური შაშხანის სროლა წარმოებს დგომში საყრდენით მაგიდაზე დაბჯენით ან 5 მეტრის დისტანციებზე დგომულა № 8 (სპორტული) სამიწაზე.

15 წუთის განმავლობაში უნდა შესრულდეს 3 სასიწქე და 5 ჩასათვლელი გასროლა.

6. ჩოგბურთის ბურთისა და ხელყუმბარის ტყორცნა ტარდება სტადიონზე ან ნებისმიერ სწორ მოედანზე, 10 მეტრი სიგანის დერეფანში.

ტყორცნა სრულდება გამორბენით ან ადგილიდან „ზურგს უკან მხარზე გადაცილებით“. სხვა ხერხით ტყორცნა არ შეიძლება.

7. გოგონებისა და ქალებისთვის 32-თვიანი ტანვარჯიშული თავისუფალი ვარჯიშები მუშაობენ რაიონებისა და ქალაქებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მეთოდურ საბჭოებზე (კომისიებზე). ვარჯიშების შესრულების შეფასება ხუთბალიანია.

ვარჯიშების ჩათვლა ტარდება ჯგუფურად — არაუმეტეს 3 მოვარჯიშისა.

2. რბენა 1000 მეტრზე (შპ. შპ.)	4.30	5.00	5.00	5.40
3. მიწიდან (რაოდენობა): მაღალი ღერძზე	6	3	-	-
დაბალი ღერძზე (სიმაღლე 95 სმ)	-	-	12	6
ან ზურგზე წოდება მდგომარეობიდან განისაზღვრება (რაოდენობა 1 შპ-ში)	-	-	25	20
ან იატაკზე წოდებულნი მკლავების მოხრა და გამართვა (რაოდენობა)	-	-	10	6

მოთხოვნები:
1. 32-თვიანი ტანვარჯიშული თავისუფალი ვარჯიშების კომპლექსი უნდა შესრულდეს არანაკლებ „კარგი“ შეფასებით;
2. შეიქმნოს გაცურვა 50 მეტრზე;
3. თხილამურებით 1 კმ-ის გარბენა: ბიჭები — 7 წუთი; გოგონები — 7 წუთი, 30 წამი (შხოლოდ თოვლიანი რაიონებისთვის).

იზრდ II საფეხური
(4 (5)-8 (9) კლასების მოსწავლეობისთვის)

გამოცდის სახეები	ნორმატივები			
	ბიჭები		გოგონები	
	იქროს ნიშანი	ვერცხლის ნიშანი	იქროს ნიშანი	ვერცხლის ნიშანი
1. რბენა 60 მეტრზე (შპ.)	8,8	9,6	9,6	10,3
2. რბენა 2000 მეტრზე (შპ. შპ.)	8,20	9,20	10,00	11,20
3. მიწიდან (რაოდენობა): მაღალი ღერძზე	10	8	-	-
დაბალი ღერძზე (სიმაღლე 95 სმ)	-	-	14	8
ან ზურგზე წოდება მდგომარეობიდან განისაზღვრება (რაოდენობა 1 შპ-ში)	-	-	30	25
ან იატაკზე წოდებულნი მკლავების მოხრა და გამართვა (რაოდენობა)	-	-	12	8

მოთხოვნები:
1. 32-თვიანი ტანვარჯიშული თავისუფალი ვარჯიშების კომპლექსის შესრულება არანაკლებ „კარგი“ შეფასებით;
2. 150-გრამიანი ბურთის ტყორცვა არანაკლებ 40 მეტრზე (ბიჭებისთვის);
3. ცურვა 50 მეტრზე: ბიჭები — 55, გოგონები — 80 წამი;
4. თხილამურებით 3 კმ-ის გარბენა, ბიჭები — 18, გოგონები — 20 წუთი (შხოლოდ თოვლიანი რაიონებისთვის).

იზრდ I საფეხური
(სკოლის 9-10 (11) კლასების, პროფტექნაზის მოსწავლეობის, საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების და 18 წლამდე მშრომელი ახალგაზრდებისთვის)

გამოცდის სახეები	ნორმატივები			
	ჭაბუკები		გოგონები	
	იქროს ნიშანი	ვერცხლის ნიშანი	იქროს ნიშანი	ვერცხლის ნიშანი
1. რბენა 100 მეტრზე (შპ.)	13,6	14,8	15,8	17,0
2. რბენა 2000 მეტრზე (შპ. შპ.) 3000 მეტრზე (შპ. შპ.)	12,00	13,30	-	-
3. მიწიდან (რაოდენობა): მაღალი ღერძზე	12	9	-	-
დაბალი ღერძზე (სიმაღლე 110 სმ)	-	-	16	10
ან ზურგზე წოდება მდგომარეობიდან განისაზღვრება (რაოდენობა 1 შპ-ში)	-	-	35	27
ან იატაკზე წოდებულნი მკლავების მოხრა და გამართვა (რაოდენობა)	-	-	14	10

შენიშვნა: მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სპორტსახეობებს, სამხარეო და საოლქო სპორტკომიტეტებს უფლება ეძლევათ დაუშვათ მშდ კომპლექსის ყოველი საფეხურის მოთხოვნებს არაუმეტეს ორი ვარჯიშის პირობების, ტრადიციის, კონკრეტული რეგიონის ახალგაზრდობის ინტერესების გათვალისწინებით.

IV. მშდ კომპლექსის მრავალზომის შინაარსი

10-11 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის:
ღერძზე მიზიდვა, თხილამურებით რბოლა 1 კმ-ზე, პნემატური შაშხანის სროლა;
12-18 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის:
ღერძზე მიზიდვა, თხილამურებით რბოლა 2 კმ-ზე, პნემატური შაშხანის სროლა;
14-15 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის:
ღერძზე მიზიდვა, თხილამურებით რბოლა 3 კმ-ზე, მცირეკალიბრიანი და პნემატური შაშხანის სროლა;
16-18 წლის მამაკაცებისა და ქალებისთვის:
ღერძზე მიზიდვა, თხილამურებით რბოლა — ქალები — 3 (5) კმ-ზე, მამაკაცები — 5 (10) კმ-ზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა;
40-55 წლის ქალებისთვის:
დაბალ ღერძზე მიზიდვა, თხილამურებით რბოლა 2 (3) კმ-ზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა;
40-60 წლის მამაკაცებისთვის:
ღერძზე მიზიდვა, თხილამურებით რბოლა 5 კმ-ზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა.
შენიშვნა: 10-15 წლის გოგონებისა და 16-55 წლის ქალებისთვის დაბალ ღერძზე მიზიდვა შეიძლება შეიცვალოს იატაკზე წოლბჭენში მკლავების მოხრითა და გამართვით.

სახაზსწავლო მრავალზომი
სამშობი
10-60 წლის ასაკისთვის

1. რბენა 60 (100) მეტრზე, ღერძზე მიზიდვა, რბენა 1000 (2000, 3000) მეტრზე;
2. რბენა 60 (100) მეტრზე, ბურთის (ხელყუმბარის) ტყორცვა, რბენა 1000 (2000, 3000) მეტრზე;
3. ღერძზე მიზიდვა, სროლა, რბენა 1000 (2000, 3000) მეტრზე;
4. რბენა 60 (100) მეტრზე, ცურვა 50 (100) მეტრზე, რბენა 1000 (2000, 3000) მეტრზე;
5. ცურვა 50 (100) მეტრზე, სროლა, რბენა 1000 (2000, 3000) მეტრზე;
6. ღერძზე მიზიდვა, ცურვა 50 (100) მეტრზე, რბენა 1000 (2000, 3000) მეტრზე.
შენიშვნა: ძალის განმავითარებელი, სროლის ან ტყორცვის ვარჯიშთა პირთაგან, რბენისა და ცურვის მანძილის განსაზღვრა 10-27 წლის პირთათვის ხდება მშდ კომპლექსის პროგრამის მიხედვით, დანარჩენი ჯგუფებისთვის — ყოველი სამკვიდიდან არჩევით.

ოთხზომი

14-15 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის:
7. რბენა 60 მეტრზე, ღერძზე მიზიდვა ან წოლბჭენში მკლავების მოხრა და გამართვა (გოგონების), ცურვა 50 მეტრზე, რბენა 2000 მეტრზე;
8. რბენა 60 მეტრზე, ბურთის ტყორცვა, ცურვა 50 მეტრზე, რბენა 2000 მეტრზე;
50-60 წლის მამაკაცებისთვის:
9. მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, ღერძზე მიზიდვა, ცურვა 50 მეტრზე, რბენა 2000 მეტრზე;
40-55 წლის ქალებისთვის:
10. მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, დაბალ ღერძზე მიზიდვა ან წოლბჭენში მკლავების მოხრა და გამართვა, ცურვა 50 მეტრზე, რბენა 1000 მეტრზე;

ხუთზომი

18-39 წლის მამაკაცებისთვის:
11. რბენა 100 მეტრზე, ღერძზე მიზიდვა, ცურვა 50 (100) მეტრზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, რბენა 3000 მეტრზე;
12. რბენა 100 მეტრზე, ხელყუმბარის ტყორცვა, ცურვა 50 (100) მეტრზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, რბენა 3000 მეტრზე;
18-39 წლის ქალებისთვის:
13. რბენა 100 მეტრზე, დაბალ ღერძზე მიზიდვა ან წოლბჭენში მკლავების მოხრა და გამართვა, ცურვა 50 (100) მეტრზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, რბენა 1000 მეტრზე;
14. რბენა 100 მეტრზე, ხელყუმბარის ტყორცვა, ცურვა 50 (100) მეტრზე, სროლა, რბენა 2000 მეტრზე;
40-49 წლის მამაკაცებისთვის:
15. რბენა 60 მეტრზე, ღერძზე მიზიდვა ან ხელყუმბარის ტყორცვა, ცურვა 50 მეტრზე, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, რბენა 2000 მეტრზე.

კონტროლი ფიზიკური კულტურის ორგანიზებულად ან დამოუკიდებლად, აქეთ ექიმის ჩეხარითაა.
მშდ კომპლექსისა და მრავალზომის საგამოცდო სახეობებში შეჯიბრებები ტარდება ვარჯიშების შესრულების პირობების შენარჩუნების (დანართი № 1) და სპორტის სახეობებში შეჯიბრებების წესების მიხედვით.
შეჯიბრებებს ატარებენ რაიონის (ქალაქის) ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების მიერ დამტკიცებული მსახურთა კოლეგიები.

VII. მშდ კომპლექსის მუშაობის ორგანიზაცია

მშდ კომპლექსის ნიშნისთვის, მშდ კომპლექსის მრავალზომში სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების ხელშეწყობისა და კონტროლის რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, რაიონებსა და ქალაქებში ახორციელებენ შესაბამისი სპორტსახეობები და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები.
მშდ კომპლექსზე მუშაობის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ:
— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში — სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციას, პედაგოგიურ კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
— საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — ადმინისტრაციას, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და დოსააფის კომიტეტებს, სამედიცინო-სანიტარულ სამსახურს, დაწყებითი საშეღრო მომზადების პუნქტს;
— დოსააფის ორგანიზაციებში — საზოგადოების კომიტეტებს, თავდაცვის სახლების, სპორტულ-ტექნიკური კლუბების ადმინისტრაციებს.

მშდ კომპლექსის ნიშნისთვისა და მშდ მრავალზომის თანრიგოსანების მომზადებისთვის უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ: სასწავლო დაწესებულებებში — ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს (ხელშეწყობის), ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს, საშეღრო ხელმძღვანელებს, ფიზიკური აღზრდისა და საშეღრო საქმის კათედრებს, მედიცინის მუშაკებს; საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში — ფიზიკური კულტურისა და საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტებს, მწვრთნელ-მასწავლებლებს, მედიცინისა და დოსააფის მუშაკებს.


მშდ კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების შესასრულებლად მოსწავლეთა, სტუდენტთა, მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნე-წევრთა და გასაწევრთა, აგრეთვე მშდ მრავალზომში სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებისთვის აუცილებელი მიზანმიმართული და გეგმავითი ღონისძიებების დაფინანსება ხდება ფიზიკური აღზრდაში სასწავლო მუშაობისა და ფიზკულტურულ-სპორტულ შეჯიბრებათა ჩატარების დადგენილი წესის მიხედვით.

VIII. მშდ კომპლექსისა და მრავალზომის მოწოდება და სამეარდე ნიშნები

პირებს, რომლებმაც შეასრულეს მშდ კომპლექსის მოთხოვნები და ნორმატივები, ეძლევათ შესაბამისი საფეხურის დადგენილი ნიშნის მოწოდება და სამეარდე ნიშანი, მშდ კომპლექსის მრავალზომის სათანადო ნორმატივების შესრულებისთვის — საკლასიფიკაციო ბილეთი და შესაბამისი თანრიგის სამეარდე ნიშანი.
გაზონაკის შემთხვევაში მშდ კომპლექსის მოწოდებები და იერცხლის სამეარდე ნიშნები შეიძლება გადაეცეთ პირებს, რომლებმაც არ ჩაუბარებიათ ცურვის მოთხოვნები მოცემულ ტერიტორიაზე ცურვის ჩვევათა დაუფლებების პირობების არარსებობის გამო.

ამ შემთხვევაში მშდ კომპლექსის ნიშნის მოწოდებაში კეთდება ჩანაწერი — „ცურვა არ ჩაუბარებია“. იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არის ცურვის ჩვევათა დაუფლების პირობები, მომავალი სასწავლო წლისთვის განსაზღვრავენ სამხარეო, საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები და აცხადებენ სასწავლო დაწესებულებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

მშდ კომპლექსის მოწოდებისა და სამეარდე ნიშნის გაცემის საფუძველს წარმოადგენს დახურული „მშდ კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების კრებისლი უწყისი“, რომელიც ხელმოწერილია სასწავლო დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებულია ბეჭდით.



ასაკობრივი ჯგუფები	სსრ კავშირის საოლქო რსებაში	სსრ კავშირის საოლქო რსებაში	შედეგები			
			მა	წმ	წმ	
10-11 წელი	-	-	-	80	60	40
12-13 წელი	-	-	100	75	60	40
14-15 წელი	-	-	120	80	55	40
16 წელი და უფროსი	150	120	90	60	45	-
40 წელი და უფროსი	-	130	100	80	55	-
ქულათა მიწოდების რაოდენობა, რომლის ჩვენება აუცილებელია ყოველ საბეზობაში	30	30	20	7	7	7

სათანადო მოთხოვნები
მშდ საზაფხულო მრავალზომი (ქულათა რაოდენობა)

ასაკობრივი ჯგუფები	სსრ კავშირის საოლქო რსებაში	სსრ კავშირის საოლქო რსებაში	შედეგები					
			I	II	III	I ვაზ	II ვაზ	III ვაზ
10-11 წელი	-	-	-	-	-	80	60	40
12-13 წელი	-	-	-	100	75	60	40	-
14-15 წელი	-	-	-	80	55	40	-	-
16-39 წელი	-	-	-	60	45	-	-	-
40 წელი და უფროსი	-	-	-	80	55	-	-	-
14-15 წელი	-	-	150	100	70	50	-	-
40-44 წელი /ქალბ./	-	-	150	100	70	-	-	-
45-55 წელი /ქალბ./	-	-	170	120	70	-	-	-
50-60 წელი /ქალბ./	-	-	170	120	70	-	-	-
16 წელი და უფროსი	220	180	150	100	60	-	-	-
40-49 წელი /ქალბ./	-	220	180	120	80	-	-	-
ქულათა მიწოდების რაოდენობა, რომლის ჩვენება აუცილებელია ყოველ საბეზობაში	30	30	20	7	7	7	7	7

„სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ წოდებისა და „სპორტის ოსტატობის კანდიდატის“ თანრიგის მიწოდების პირობები

წოდება „სსრ კავშირის სპორტის ოსტატი“ ენიჭებათ იმ სპორტსმენებს, რომლებიც სათანადო მოთხოვნებსა და ნორმატივებს შეასრულებენ სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, ქ. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის, საკავშირო პროფკავშირთა ნებაყოფლობით ფიზკულტურული საზოგადოების საბჭოს მიერ ჩატარებულ ჩემპიონატებსა და პირველობებში.

თანრიგი „სპორტის ოსტატობის კანდიდატი“ ენიჭებათ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც სათანადო მოთხოვნებსა და ნორმატივებს შეასრულებენ სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, ქ. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის, საკავშირო პროფკავშირთა ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო, საოლქო და პროფკავშირთა შესაბამისი საბჭოების მიერ ჩატარებულ ჩემპიონატებსა და პირველობებში.

